

ლაზების (ჭანების) წერა-კითხვისა და განათლების მდგომარეობა ოსმალთა იმპერიის ხანაში და თურქეთის რესპუბლიკაში

ედ. ჭანტურია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

როგორც ცნობილია, 1461 წ. ოსმალებმა ქ.ტრაპიზონი დაიკავეს. თავისთავად ცხადია, დაკავებულ ტერიტორიაზე მათ შეუდგნენ ძალაუფლების განმტკიცებას; ხოლო შემდგომ წლებში განახორციელეს რამდენიმე ლაშქრობა ქრისტიან ლაზების სხვა ტერიტორიაზე. დაპყრობილ ტერიტორიაზე, როგორც სხვაგან, ადგილობრივი მოსახლეობის გამაჰმადიანება დაიწყო. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა სულთან სელიმ II-ის დროს (1512-1520წ.) მაჰმადიანური სარწმუნოების ფანატიკოსი სულეიმანი მიმართავდა მისთვის ნაცად ძალისმიერ ხერხებს. რა თქმა უნდა, “ურჯულო” მოსახლეობის გამაჰმადიანების სხვა მეთოდებიც არსებობდა, ასე მაგალითად, სხვა ნაციის მისახლეობიდან ვინც მართლმორწმუნე მაჰმადიანი ხდებოდა იღებდა ყველანაირ შეღავათს ყველა საარსებო სფეროში, განსაკუთრებით “საკომლო”, “სამხედრო” და სხვა სახის დაბეგვრებში; ვინც “პროფისიონალი” ჯარისკაცი ხდებოდა, ეძლეოდა დიდებულის წოდება, მამული და ა.შ.

ჭანეთის (ლაზეთის) დაპყრობაში სელიმა გამოიყენა ქართველთა სამთავროების შიდა შუღლი. ცნობილია, რომ როდესაც მამია გურიელი შეებრძოლა ოსმალებს და ელოდა იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის და სამეგრელოს მთავრის დადიანის დახმარებას, ბაგრატმა სულმდაბლობა გამოიჩინა და დახმარების ნაცვლად ეცადა დადიანი გადაეკიდა გურიელს; ეს ურთიერთობა ქართველ მთავრებს შორის გამოიყენა სულთანმა და დიდი გაჭირვების გარეშე შემოიერთა მთელი ლაზისტანი (ჭანეთი).

ამ საკითხთა დაკავშირებით არსებობს შემდეგი ისტორიული გადმოცემები: “მეფე (ფადიშახი) თავის ჯარისკაცებით ტრაპიზონიდან მელოში მოვიდა. მელოდან ბრძოლა-ბრძოლით გინიას ციხეს მიადგა და ბლოკადა უყო არხავეს (არქაბას), ვიწეს, ათინას, ხოფას, გონიას, ბათობს, ჩხალას, ბელილევანს, ნოლელს (მაკრიალს), სარფს, ომი გრძელდებოდა სამ თვეს.

საჭმელი გაუთავდათ (ჭანებს), ხალხი (“კაცი”) გაწყდა, ასი კაციდან ოცდახუთი დარჩა. მერე ერთ ადგილას შეიკრიბნენ (ჭანები) და თქვეს: “რა ვქნათ ჩვენ? კაცი არ დარჩა, საჭმელი არ გვაქვს...” ფაშამ უთხრა პეტროს, რომ “საჭმელს მოგცემთ და ვაჟები (შვილები, ბავშვები) რაც დაიხოცნენ (“მოკლულ იქნენ”) დაიხოცნენ და რაც დარჩნენ, ის ბავშვებიც ათ წელიწადში დაიხრდებიან, წონანდელეებსავით ვაჟკაცები იქნებიან, ერთ რამეს გეტყვი და იმის უარი არ თქვა”. პეტრომ უთხრა: “რას მეტყვი?” ფაშამ უთხრა: “სუყველანი მუსულმანი გახდითო!” პეტრომ – “მე ქრისტიანი ვარო, თუ ასე გინდათ, ყაბული გამხადეთ და ჩვენ მუსულმანები არ გავხდებითო!” “კარგიო” – უთხრა – “ქრისტიანი იყავითო!” ქალაქი მისცა: “ჭანეთის ლაზისტანის” ძროხას, ცხვარს, ქათამს, რაც კი რამ არის, არაფერი ცუდი არ შეემთხვას”. მოვიდა პეტრო შინ.

სამი წლის განმავლობაში იყვნენ კარგად თავიანთ ეკლესიებში, სასწავლებლებში (“საკითხავში”) სამი წლის შემდეგ მღვდლებს ორი - სამი წელი სასჯელი მისცეს. მღვდლების რიცხვი შემცირდა. ამასიიდან ორმოცდახუთი ხოჯა მიყვანეს. თურქული სკულები გახსნეს. ყველამ ბავშვები მიაბარა სკოლაში”[1].

სულთან სელიმის ლაზეთში ლაშქრობის შესახებ 1615წ. მისიონერი ლუი გრანჯერიო იძლევა შემდეგ ცნობებს: “დაბა რიზე... ეკუთვნის ლაზისტანს, რომელიც გადაჭიმულია ტრაპიზონიდან დაწყებული ვიდრე საქართველომდე. იმ ნაწილში, რომელიც ტრაპიზონზე ახლოა, ბერძნულს ლაპარაკობენ, საქართველოს მახლობლად კი საზოგადო ენა მეგრულია. რიზე, ლაზების ახალშენია. ლაზები მეგრულ ერს ეკუთვნიან. თანდათანობით (ჭანები) გადადიან მუსულმანობაში; ჩვეულებრივ ხანშესულნი იმისათვის, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებენ აუტანელ ჩაგვრას განიცდიან და იმ მიზნით, რომ თავი დააღწიონ გადასახლებას, რომლებითაც მათ აწუხებენ, თურქების მხარეზე გადადიან. რაც შეეხება ბავშვებს, მშობლები წინდაცვეთენ ხოლმე მათ, რათა ისინი განთავისუფლებულ იქნენ ყველა გადასახადისა და ბეგარისაგან; ისინი ცდილობენ, რომ ქრისტიანი ქალიშვილები იანიჩარებზე გათხოვდნენ, რომ თავიანთ დედებს და მამებს სიცოცხლე შეუნარჩუნონ. იმ მცირეოდენ ნაწილს, რომელიც დარჩა წინანდელ მცხოვრებთაგან (ქრისტიანებად), შერჩენილი აქვთ მხოლოდ ქრისტიანული სახელი” [2].

როგორც ცნობილია, ოსმალები ლაზების გათურქების პოლიტიკას ეწეოდნენ მონღევო საუკუნეებშიც (XVI-XVIII სს.). ისინი, ვინც არ თმობდა საკუთარ სარწმუნოებას და ძალზე უჭირდა თურქების რეპრესიების, განსაკუთრებით ეკონომიკურ, ზეწოლას გარბოდა დედა-სამშობლოში (საქართველოში). ვისაც ამის საშუალება არ ჰქონდა, იხიზნებოდა ქრისტიანულ საბერძნეთში, ზოგნიც “ლათინთა” (კათოლიკთა) ეკლესიას უკავშირდებოდა. (განსაკუთრებით ისინი, ვინც დასავლეთის ქვეყნებში აღმოჩნდნენ. განა ასეთი ბედილბალის მაჩვენებელი არ არის ისეთი პიროვნების, როგორც იყო – საქართველოს ელჩი საფრანგეთში იმპერატორ ლუდოვიკო XIV დროს სულხან საბა ორბელიანის გაკათოლიკება?!)

ამრიგად, XV-XVII სს იწყება ლაზთა დენაციონალიზაცია და ქრისტიანული სარწმუნოების დაკარგვა, მათი შერწყმა, გათქვეფა სხვადასხვა ეროვნებათა შორის: თურქეთში (მაჰმადიანობა), ბერძნებში (მართლმადიანობა), ხოლო დასავლეთ ქვეყნებში კი კათოლიკობა და ა.შ.

ლაზ-ჭანების საქართველოსაგან, ქრისტიანულ სარწმუნოებისაგან ჩამოშორებასთან ერთად, თურქი მოლები და ხოჯები მათ უქადაგებდნენ, რომ ისინი ქართველების ნათესავები არ არიან, რომ მათი ენა ლაზურია და არა ქართული”, თქვენ მუსეულმანები ხართ და წიგნი არაბულია არა ქართულიო.

ცოტა უფრო გვიან ოსმალებმა (1545 წ. ბასიანის მახლობლად დაამარცხეს ქართველთა შეერთებული ლაშქარი) ხელთ ჩაიგდეს მთელი სამცხე-საათაბეგო. ამას კი მოჰყვა ამ კუთხის გამაჰმადიანება.

ვიაიდან თურქები ლაზებს საშუალებას არ აძლევდნენ რაიმე ურთიერთობა ჰქონოდათ მოძმე ქართველებთან, ოსმალების რეპრესიების შიშით ლაზებმაც იმედი დაკარგეს საქართველოდან დახმარების მიღებისა. მითუმეტეს ამ დროისათვის საშიშროების ქვეშ აღმოჩნდა არა მარტო იმერეთი, ოდიში და სამცხე-საათაბეგო, არამედ ქართლ-კახეთიც.

მაგრამ, უკვე XVIII საუკუნეში პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, ვინაიდან ოსმალეთს ძლიერი მეტოქე გამოუცნდა – რუსეთის სახით, რომელმაც შეარყია ოსმალთა ძლიერება და გავლენა მთელ ამიერკავკასიაში.

ცნობილია, რომ ეს ის დროა, როდესაც ერეკლე II უკავშირდება დიდ რუსეთს (ასევე რუსეთთან კავშირს ამყარებს იმერეთის მეფე – სოლომონ I), ვინაიდან მათ საშიშროება ემუქრებოდა ახალციხის საფაშოდან, სადაც შედიოდა თვით სამცხე,

შავშეთ-კლარჯეთი, აჭარა და ლაზეთი, რომელნიც უკვე ამჟამად ადგნენ გამუსულმანებას და ეროვნული გადაგვარების გზას. ამავე დროს, რუსეთს ძალზე ესაჭიროებოდა შავ ზღვაზე (სამხრეთ საქართველოში) გამაგრება და ამასთან დაკავშირებით, ის ფაქტიურად იპყრობს ამ ტერიტორიას, რაც ითვალისწინებს ოსმალეთის განდევნას. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე უკვე 1768 წ. გამოცხადდა ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ერეკლე II დაეხმარა რუსეთის ჯარის ხელმძღვანელობას (გენერალ ტოტლებენს) ლაშქრობაში ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ ერეკლე მეფესა და გენერალ ტოტლებენს შორის მომხდარი უთანხმოების გამო, ერეკლეს მოუხდა მარტო შებრძოლებოდა ოსმალებს. 1770 წ. ბრძოლა მოხდა ასპინძასთან, სადაც ერეკლემ გაიმარჯვა. თუმცა შეტევებზე ვერ გადავიდა ჯარის სიმცირის გამო, ამიტომ მოუხდა უკან დაბრუნება.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801წ.), სიტებმა 1809წ. აიღეს ოსმალეთის მიერ გამაგრებული ფოთის ციხე, ხოლო 1810 წ. მათ შემოიერთეს იმერეთის სამეფოც. ხოლო იმერეთის მეფე სოლომონ II ლაზეთში გადავიდა. მუსულმანურმა გავლენიანმა წრეებმა ის გულთბილად მიიღო და როგორც ცნობილია, სელიმ-ფაშამ ხიმიაშვილმა სოლომონს იმერეთის ტახტის დაბრუნებაში დახმარებაც კი აღუთქვა.

როგორც წერილობითი მატარებელი იუწყება სოლომონ მეფემ ტრაპიზონში 5 წელი იცხოვრა. გარდაიცვალა 1815 წ. და დასაფლავებულია წმ. გრიგოლის ეკლესიის გალავანში, სადაც დღემდე დაცულია მისი საფლავი. სოლომონის ამაღლის შთამომავალნი ტრაპიზონში ცნობილნი არიან “ივერპულოს” გვარით. თურქების მიერ ლაზეთის დაპყრობის შემდეგ თანდათანობით შემოღებულ იქნა ოსმალური მმართველობის წესები.

მართვა-გამგეობის მხრივ მთელი ლაზეთი გაყოფილი იყო თერთმეტ ხეობად, რომლებსაც განაგებდნენ ე.წ. “დერე-ბეგები”, (ხეობის თავადები) და “დერე-ბეი” (ხევის-ხელისუფალი), რაც ქართულში “ხევისბერს” შეესატყვისება; თუმცა “ბეი” თურქეთის სულთანატში წარმოადგენს უმაღლეს ოფიცერთა და აგრეთვე ჩინოვნიკების ტიტულს, ხოლო ჩვეულებრივ მიმართვაში ეს სიტყვა გამოიყენება როგორც - “ბატონო”, რომელიც იხსენება სახელის შემდეგ, მაგალითად, ოსმან-ბეი; ჩვენებურ აზნაურს თურქულად უწოდებდნენ “აღას”, ხოლო სიტყვა “ეფენდი” – წარმოადგენს მამაკაცის მიმართ პატივისცემით მიმართვას; თანამედროვე თურქულ ენაში სიტყვა “ქალბატონებო და ბატონებო” ჟღერს სულ სხვანაირად (ბაინლარ ვე ბაილარ”), ხოლო სიტყვა “ბატონო” გამოითქმება როგორც ”ბეი” და “ბეიეფენდი” და ქალბატონო – ბაიანი და ხანუმეფენდი. (“მთავარს” – უწოდებენ ”ფაშას”, ხოლო ”მეფეს” – “სულთანნი”)

ლაზეთის მიწა-წყალზე ბატონ-პატრონები იყვნენ თვით ლაზი ბეგები, ისენი განაგებდნენ თავიანთ (ყოფილ) სახელმწიფოს და მათ ხალხს. ხოლო სულთანის მიმართ კი ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ განსაზღვრული ხარკი (გადასახადი), ხოლო ომის მსვლელობის დროს უნდა გამოცხადებულიყვნენ თავისი ლაშქრით; ხშირი შემთხვევა იყო (როგორც თვით საქართველოში) ლაზი ბეგები და ფაშები თავიანთი სამფლობელოების გაფართოებისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ; ზოგჯერ “ურჩობდნენ” მთავრობის მიმართ, რაც იწვევდა სულთანის მხრიდან ამ ურჩობის საპასუხოდ მათ დასჯას და თარეშს ლაზეთის მიწა-წყალზე.

დროთა განმავლობაში, ლაზეთში (ქანეთში) ისე ძლიერად გაჯდა მუსულმანური სარწმუნოება, რომ სულთანნი მათ უფრო ენდობოდა, ვიდრე ზოგიერთ იანიჩართა ხელმძღვანელებს. ასე, მემატიანის ცნობით, რუსეთისა და ოსმალეთის ომში (1820-1830წწ.), იმ დროს, როდესაც რუსეთი საომარ მოქმედებას აწარმოებდა ახალციხის

საფაშოს (სამთავროს) დასაპყრობად, ახალციხის საფაშოს დასაცავად ოსმალეთის სულთანმა გამიყენა ლაზთა ლაშქარი, როგორც საუკეთესო მეომრები. როგორც გენერალ პასკევიჩისადმი წარმოდგენილი მოხსენებიდან ჩანს, ლაზებს დიდი მამაცობა გამოუჩენიათ ბრძოლებში მათ წინააღმდეგ.

საგულისხმოა, რომ ფანატიკოსი მოღვაწეები ლაზებს რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. ლაზები თავდადებით იბრძოდნენ მუსულმანობის დასაცავად და გამოდიოდნენ თურქ-ოსმალთა პოლიტიკური ინტერესების დამცველის როლში.

მაგრამ, როდესაც ოსმალეთმა საფრანგეთ-ინგლისის დახმარებით დაიწყო მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ, რომელშიც შედიოდა ოდიში და აფხაზეთი, ოსმალეთმა მეგრელები ვერ გაამუსულმანეს, როგორც მათი მოძმე ლაზები. (ოსმალეთმა ოდიში ხელში ვერ ჩაიგდეს); ამ საბრძოლო მოქმედებაში (სამეგრელოს დასაპყრობად) ლაზთა გულადმა რაზმებმა, რომელნიც აქტიურობდნენ ბაიბურთისა და ყარსის ბრძოლებში, ოდიშის დალაშქრებაში არ მონაწილეობდნენ. ოსმალეთმა, ისე ჩანს, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ვერ გაბედეს გამოეყვანათ ისინი მოძმე მეგრელების წინააღმდეგ.

მემატთანე სამართლიანად იუწყება - ლაზებს კიდევ ჰქონდათ ურთიერთობა (მიუხედავად რჯულისა) სამეგრელოსთან, რომელიც უკვე რუსეთის ხელში იყო მოქცეული. ამიტომ ოსმალეთი ცდილობდნენ ლაზებში აღმოეფხვრათ ყოველივე ქართველური და მოესპოთ ლაზური ენაც, რომელიც მათ მეგრელებთან აერთიანებდა. ამ მიზნით ლაზეთის მიწა-წყალზე ასახლებდნენ უცხო ტომის ხალხს. ასე მაგალითად, გონიოსა და კახაბრის მიდამოებში ქურთები ჩაასახლეს, მათთან ერთად თურქული ტომების ნაწილი ეშაირები, ჰიმშილები, რიზესა და მაფაცრეს (მეფური) მიდამოებში დაასახლეს გამუსულმანებული ბერძნები და სხვა. ამავე დროს, თვით ლაზ მოსახლეობას ასახლებდნენ ოსმალეთის შირეულ მხარეებში. ეს ხდებოდა იმისათვის, რომ ლაზეთში მოსპობილიყო ქართული მისახლეობის კვალი. რა თქმა უნდა, ამას მოჰყვებოდა მათი ზოგიერთი ციხე-კოშკების, ეკლესიებისა და მონასტრების დანგრევა. ზოგიც გარდაიქმნებოდა მეჩეთებად და მედრესებად, სადაც მოღვაწეები და ხოჯები ლაზებს ქართველების მიმართ, როგორც ურჯულოების-“გიაურებს” უარყოფით განწყობს უღვივებდნენ. ისენი ვინც მოშორდებოდა ურწმუნოს, მოღვაწის ქადაგის მიხედვით წმინდანთა რიცხვს შეემატებოდნენ და სამოთხეში მოხვდებოდნენ.

მრავალი მკვლევარი გამოთქვამს იმ ჭეშმარიტ აზრს, რომ მოსახლეობის გამუსულმანება ლაზისტანში ხდებოდა არა მარტო ცეცხლითა და მახვილით, მათ ამისათვის (სარწმუნოების დანერგვა მოსახლეობაში) გააჩნდათ მრავალი სხვა და სხვა დახვეწილი მეთოდები და საშუალებანი.

ქრისტიანული მოსახლეობა იბეგრებოდა დიდძალი გადასახადით, ხოლო ის მოსახლეობა, რომელიც (პირველივე ხანებში) გამაჰმადიანდა ეძლეოდა დიდი შეღავათი; ამას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ თურქული ენა მტკიცდებოდა ეკონომიკური საშუალებებით და რაც მთავარია მოსახლეობის მიწვევით “ნიზამში” (აუცილებელი სამხედრო სამსახური). ცნობილია, რომ სამხედრო მოსამსახურეებს ეძლეოდა არა მხოლოდ დიდი შეღავათები, არამედ მიწები (მამულები) და უფლებები სახელმწიფო მართვაში. ვინაიდან ლაზები ზღვისპირა მოსახლეობას მიეკუთვნებოდნენ და იყვნენ საუკეთესო მენაოსნები და მეთევზეები, მათ იწვევდნენ ჯარში მეზღვაურთა ნაწილებში. (მემატთანე იუწყება, რომ XVII-XIX სს. თურქეთის სამხედრო ფლოტის უმეტეს ახალგაზრდა მეზღვაურებს ლაზების მოსახლეობიდან იწვევდნენ, ვინაიდან ისინი კარგი მოცურავეები და ზღვებზე გაწრთობილი მენაოსნები იყვნენ. ამასთან

დაკავშირებით ჩვენ ვკითხულობთ: “ლაზეთის მოსახლეობა ოსმალეთის ხელისუფლებას ყოველწლიურად უგზავნის მეზღვაურთა გარკვეულ კონტიგენტს, რომელმაც შვიდი წელიწადი უნდა იმსახუროს ოსმალეთის ფლოტში, ამდენად, მეზღვაურების სამ მეოთხედს ლაზები შეადგენდნენ”.

ოსმალთა სახელმწიფოში ამ დროს ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას უთმობდნენ თურქული ენის, კულტურისა და მუსულმანური რელიგიის ათვისებას. ამ დროს ლაზებისათვის მისაღებად ითვლებოდა ბავშვთა აღზრდა რელიგიურ სკოლებში, ე.ი. მედრესებში, რომლებიც გახსნილი იყო ყველა ჯამესთან (მეჩეთთან). ამ სკოლებს თურქეთის მონარქია იყენებდა იდეოლოგიური დამუშავებისათვის მომავალი თაობის აღზრდა-განათლებს მეშვეობით.

თურქეთის ლაზისტანში (ქანეთში), ისევე როგორც მთელს თურქეთის იმპერიაში (ყველა ტომთა ტერიტორიებზე) ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში, ე.წ. მედრესებში მოქმედებდა ერთად-ერთი სწავლა-აღზრდის სისტემა, სადაც წარმოებდა მუსულმანურ რელიგიაზე აგებული სწავლა-განათლება. აქ მთავარი საგანი იყო განწესებული საღმრთო წიგნის – ყურანის ათვისება; ამასთან ერთად, შესწავლებოდა მუსულმანური წმინდათა წიგნები, განსაკუთრებით კი შარიათები (“კანონების” წიგნი); ამ სკოლებში ისწავლება არაბული ენაც (რომელზეც დაწერილია მუსულმანთა საღმრთო წიგნები), რათა მომავალ თაობამ შეითვისოს მუსულმანური “კანონების” (შარიათების) საფუძვლები. ამის გარდა, აქ ისწავლებოდა ელემენტარული მათემატიკა, გეომეტრია, ასტროლოგია და ასტრონომია, სახალხო მედიცინა, ისტორიისა და გეოგრაფიის მოკლე კურსები.

თავისი “პროგრამებით” მედრესები მოგვაგონებს XVIII-XIXსს ქართულ სემინარიას ან პროგიმნაზიას. მაგრამ სინამდვილეში, უმეტესი სოფლებისა და რაიონების (არა ცენტრალურ ქალაქებში) მედრესე წარმოადგენდა სამ-ოთხ კლასიან სასწავლებელს, სადაც მოსწავლეები ყოველ კლასში სწავლობდნენ 2-3 და ზოგჯერ 4 წელიწადს; ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ნიჭიერი მოსწავლეები მედრესის დაწყებით განათლებას ამთავრებდნენ 4-5 წელიწადში, ხოლო უფრო ნაკლებად ნიჭიერნი სწავლობდნენ 10-15 წწ.

მედრესე (არაბულია და ნიშნავს მუსულმანების უმაღლეს სკოლას) არსებობდა შეწირული უძრავ-მოდრავი ქონების შემოსავლების, ე.წ. ვაკუფის ხარჯზე. მედრესში “ტოლსტოის” სკოლის[3] მსგავსად ასაკობრივ აღრიცხვას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, რადგან ამ სკოლებში “ბავშვები” სწავლობდნენ 15-დან 40 წლის ასაკამდე. ზოგი რამ ამ საკითხების შესახებ მოცემულია ლ.ფრენკელის წიგნში «Очерки Чурук-Су и Батуна», Тифлис, 1879, აგრეთვე თურქულ განმარტებით ლექსიკონში.

მედრესების გარდა ოსმალეთში იყო მრავალი სხვა სასწავლებლები, ასე, მაგალითად, მექთებე, რომელიც წარმოადგენს საერო სასწავლებელს. ამ სისტემის მიხედვით სკოლაში იყო სწავლების ორი საფეხური; პირველ საფეხურს უწოდებდნენ – “იბთილე” (დაწყებითი), ხოლო მეორე საფეხურს – “რუმითე” (უმაღლესი – დაწყებითი).

მასწავლებლები იყვნენ განათლებული მოლები, რომელნიც ექვემდებარებოდნენ ხოჯებს. მაჰმადიანთა მოლას ეწოდებოდა – მუური. მასწავლებლის მოვალეობაში შედიოდა მოსწავლეთა უნარ-ჩვევების განვითარება ლოცვებისა და ყურანის კითხვის ტექნიკაში, ზოგიერთი არაბულ ენაზე დაწერილი ტექსტის დაზეპირებაში, ადათების, წეს-ჩვეულებების და იდეოლოგიური მიმართულების ცოდნაში. ამის საფუძველზე მათ უნდა გამოემუშავებინათ ისლამის რელიგიის ფანატიზმი.

ნიჭიერი მოსწავლეები დაწყებითი მედრესის დამთავრების შემდეგ რჩებოდნენ სკოლაში, ცოდნის გაღრმავებისა და დახელოვნების მიზნით, მოლას წოდების მისაღებად. ამ ჯგუფის წევრებთან მეცადინეობას ინდივიდუალურად ატარებდა ხოჯა – პირადი გამოცდილების საფუძველზე. თვით ხოჯები მომზადებულნი იყვნენ თეორიასა და პრაქტიკაში, მათ უმრავლესობას ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება (თურქეთში და სხვა სახელმწიფოში). ზოგიერთი სკოლა კურსდამთავრებულებს ანიჭებდა არა მხოლოდ “მოლას” და “ხოჯას” წოდებას, არამედ სამეცნიერო წოდებასაც, რომელსაც თურქეთში უწოდებენ – “მუდერისსი”.

ოსმალური წერა-კითხვისა და განათლების იმდროინდელი სისტემის მიხედვით მედრესში სწავლება იწყებოდა “ანბანით” (რომელსაც ერქვა “ელიფუზი”) ამ სახელმძღვანელოთი მოსწავლეები იწყებდნენ არაბული ენისა და მართვის ათვისებას; შემდეგი სახელმძღვანელო იყო - “ეხჯეთი”, რომელიც დაწერილი იყო მსხვილი ასო-ნიშნებით და წარმოადგენდა წინამორბედ მომზადებას ლოცვების შესწავლისათვის; ლოცვების ზეპირად შესწავლის წესების წიგნს (სახელმძღვანელოს) წარმოადგენდა ე.წ. “ელი ხემჯუზი”. ამ სახელმძღვანელოს შემდეგ მოსწავლეები სწავლობდნენ – “ამმეჯუზს”, სადაც ფაქტობრივად იწყებოდა “ყურანის” (მუსულმანური საღმრთო წიგნის) ნაწილების ზეპირად შესწავლა და გამოთქმა. ამას ეფუძნებოდა მუსლიმური იდეოლოგიისა და ზნე-ჩვევების ათვისება.

რა თქმა უნდა ეს არც ისე იოლი იყო, ვინაიდან ის მიახლოებით შეადგენს 114 თავს, სადაც შეტანილია თითქმის ექვსი ათასამდე დოგმა, რომელთა შესწავლას ანდომებენ 2-3 წელიწადსაც კი. ამრიგად, მთელი სწავლება დაწყებით სკოლაში მედრესის პროგრამით მთავრდებოდა ყურანის აღთქმით და მას ანდომებდნენ არაბაკლებ 4 წელიწადს.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის განათლების სისტემის მკვლევარები მიუითვლებენ დაწყებითი კლასების მედრესში თავისებურებებზე სწავლებაში საგანთა მიმართ: სწავლის პერიოდის განმავლობაში “ყურანს” უცბად კი არ იზეპირებენ, არამედ მას 3-ჯერ თავიდან ბოლომდე მთლიანად წაიკითხავენ ხმამაღლა, შემდეგ მოსწავლეები ითვისებენ გრამატიკას, რომელსაც ეწოდება – “თერჯვიდი” და მხოლოდ ამის შემდეგ იზეპირებენ დოგმებს. ჩამოთვლილი წიგნების (სახელმძღვანელოების) გარდა სწავლების ბოლოს მოსწავლეები შეითვისებენ წიგნებს “კლასგარეშე კითხვისათვის”, ასე მაგალითად, “ემსილე”, “სულეიმანე”, “ახმედიე”, “ნევლუდი” და მრავალი სხვა. მათი შინაარსი განეკუთვნება წმინდა რელიგიურ-პატრიოტულ აღზრდას, განსაკუთრებით მუსულმანურ სამყაროსადმი (ალაჰისა და მუჰამედის) სიყვარულით აღსავსე გრძნობებს, აგრეთვე სარდალთა და მათ ქვეშევრდომთა საგმირო საქმეებს და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მედრესები არსებობდნენ ჯამესთან (მეჩეთის ერთ-ერთ შემოღობვაში), და ერთ მოდიდო ოთახს წარმოადგენდა, სადაც მერხები არ იყო, (განა იგივე არ იყო ლ. ტოლსტიოს სკოლაში?!), მოსწავლეები ისხდნენ ჭილოფზე, ხოლო მასწავლებელი - ხოჯა ან მოლა იჯდა მოგრძო ფიცრის სკამზე; ოთახში არავითარი თვალსაჩინოება არ ჰქონდათ, თუმცა ოთახის შიდა კედელზე არის წარწერა: “მეუფეო, იცოცხლე დიდხანს” ან “არ არსებობს ღმერთი ალახის გარდა და მუჰამედი მისი წინასწარმეტყველია”.

როგორც ცნობილია, თურქეთის სკოლაში ბიჭები სწავლას იწყებენ 6-7 წლის ასაკიდან; გოგონები სწავლობენ 13 წლამდე. შემდეგ ისინი ჩადრით იმოსებოდნენ და მზად იყვნენ გასათხოვრად, ხოლო ვისაც სწავლის გაგრძელება უნდოდა, ისინი აგრძელებდნენ სწავლას საკუთარ ოჯახებში და არა “სკოლებში”; მდიდარ ოჯახში

ზოგჯერ 15 გოგონა ერთად სწავლობდა, მათ აღმზრდელს (მასწავლებელს) უწოდებდნენ – “ხოჯა – ნენეს”, სხვათა შორის ისინი ასწავლიდნენ ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე.

მედრესში (მითუმეტეს ოჯახში) ზარი არ არსებობდა (მკვლევარები ამას ხსნიან იმ გარემოებით, რომ მუსულმანთა სამყაროში ქრისტიანთა სული, ე.ი. ზარის ხმა, არ უნდა სუფევდეს, მითუმეტეს ჯამეში), ზარის ნაცვლად მასწავლებელი 3-ჯერ ურტყავდა სპეციალურად ამისათვის გამოთლილი ჯოხით. სწავლა იწყებოდა გარიჟრაჟზე და შუადღემდე გრძელდებოდა, ნახევარსაათიანი შესვენებებით. დღის სხვა რაიმე რეჟიმი არ არსებობდა. ამრიგად, სწავლის ხანგრძლივობა და სასწავლო ქმედებაც დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლის (ხოჯის და მოლას) ნება-სურვილზე. წლის განმავლობაში სწავლა უწყვეტად მიმდინარეობდა (სემესტრების გარაშე). “შესვენებები” მხოლოდ საომარი მოქმედებებით, მუსულმანური დღესასწაულებით ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით იყო განპირობებული. დასვენების დღე მუსულმანურ სამყაროში არის პარასკევი, ამ დღეს სწავლა არ იყო.

ყოველ დღე სწავლა (მედრესში თუ ოჯახში) იწყებოდა მასწავლებლის (ხოჯის) ლოცვა-კურთხევით თურქულ ენაზე – ადიდებდნენ ალაჰს და მუჰამედს, ლოცულობდნენ სულთანის დღეგრძელობას, ურწმუნოებზე გამარჯვებას, და ამასთან ერთად – დაღუპული მეომრების ცოდვების მონანიებას. ხოჯის ყოველ წარმოთქმულ აზრს მოსწავლეები ერთხმად ამოწმებდნენ – “ამენ” –ის წარმოთქმით. ამის შემდეგ მოსწავლეებს ეძლეოდათ ინდივიდუალური დავალებები და ყველა ინდივიდუალურად მეცადინეობდა. ყველას ხმამაღლა უნდა ესწავლა, ამიტომ ოთახში საშინელი ხმაური იყო; მოსწავლეთა შეფასება ინდივიდუალური იყო. ხოლო ის მოსწავლე, რომელიც არ შეასრულებდა მიცემულ დავალებას მკაცრად ისჯებოდა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დასჯის მეთოდები მრავალფეროვანი იყო: კუთხეში დგომა, დგომა მუხლმოდრეკით, დგომა ცალ ფეხზე, სახეზე ან ტანზე სილის გაწვანა, ჯოხით ხელებზე დარტყმა, გაწკეპვლა – ხელზე, ტანზე და სხვ. ზოგჯერ თვით ბავშვს ასჯევიდნენ სხვა მოსწავლეს; თუ დანაშაული ძალზე დიდი იყო, ამ შემთხვევაში მოსწავლის სხეულის რომელიმე ნაწილს სერავდნენ მჭრელი დანით და ზედ მარილს აყრიდნენ სიმწრის გრძნობის გასამძაფრებლად. მშობლები ასეთ და მის მსგავს სასჯელზე არასდროს იყვნენ განაწყენებული, პირიქით ისინი თვითონ მოითხოვდნენ მკაცრ სასჯელს (რათა ბავშვი კარგად აღზრდილი და დამჯერი ყოფილიყო), ხოლო “მკაცრი” მასწავლებელი (ხოჯა) მათგან მადლობას და მოწონებას იმსახურებდა. მშობელთა ასეთი მოთხოვნები ხოჯას განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებდა. მოსახლეობა თვლიდა, რომ მათი შვილების დასჯა დადებითად მოქმედებს მათი შვილების ფიზიკურ და მორალურ თვისებებზე.

ამრიგად, მედრესებში აღზრდის ყველაწარმოებული ღონისძიებები მოსწავლეებს მუსულმანურ რწმენას უმტკიცებდა, ეს კი თავის მხრივ უყალიბებდა მათ საჭირო მსოფლმხედველობას, რელიგიური რიტუალების შესრულების ჩვევებს ნერგავდა. ასწავლიდა მორჩილებას და სახელმწიფო წესების - “ზეკატის” და “პიტრების” შესრულებას; ბავშვობიდან მათ ასწავლიდნენ უფროსებისადმი პატივისცემას; მორჩილებას მშობლებისა და ხოჯების მიმართ; ძღვენის დროულად მირთმევას; ბეგების, აღებისა და ეფენდების მიმართ მოწიწებას; სამშობლოს დაცვის გაძლიერებულ გრძნობას, და ა.შ.

ახალგაზრდა თაობის ასეთი აღზრდა თავისთავად ქმნიდა ოსმალური იმპერიის სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის მუსულმანობის გამტკიცებას (ერთიანი რწმენის

და ენის წყალობით და რა თქმა უნდა ლაზები იყო გამონაკლისი), და შეშაბამისად იმპერიის ძლევამოსილებას.

როგორც ცნობილია (18-19 სს.) ოსმალეთის განათლების სისტემის მთავარ ტიპად მიჩნეულია მხოლოდ სასულიერო სკოლები, რომელნიც არსებობდა მეჩეთებთან, მათ მიეკუთვნებოდა: დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი. სწავლების შინაარსი დამოკიდებული იყო სკოლის ხასიათზე. დაწყებით სკოლებში ისწავლებოდა – საღვთო წიგნი – ყურანი (არაბულ ენაზე), ცალკე “საგნად” ისწავლებოდა არაბული ენა, ელემენტარული არითმეტიკა, ასტროლოგია (კოსმოგრაფია) და თამაშობანი;

საშუალო სკოლაში ასწავლიდნენ – გრამატიკას, გეომეტრიას, ლოგიკას, რიტორიკას, სარწმუნოებას; ხოლო უმაღლესში – ყურანის კომენტარიებს, იურისპრუდენციას, მათემატიკას, მედიცინას და სხვ. როგორც ზემოთ ითქვა სწავლის დრო დადგენილი არ იყო. სკოლების მიზანი იყო მოემზადებინათ უმეტეს შემთხვევაში მუსულმანური სასულიერო პირები და სახელმწიფო ჩინოვნიკები, რაც შეეხება მე-19 საუკუნეს, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1869 წლის რეფორმის შედეგად განათლების სისტემაში გაჩნდა სახელმწიფოებრივი ჩანასახები, მაგრამ შემდგომში მას ფართო გავრცელება არ მიუღია.

თურქეთში 1923წ. რესპუბლიკის დადგენის შემდეგ ჩატარდა სახალხო განათლების რეფორმა. თურქეთის პრეზიდენტის ქემალ ათატურქის პირადი ზედამხედველობით იყო მიღებული კანონი – სახალხო განათლების ეკლესიიდან გამოყოფის შესახებ. დამწერლობა გადაყვანილ იქნა ლათინურ ანბანზე, და დაწერილობა მარცხნიდან მარჯვნივ. გამოცხადდა სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლება ორივე სქესის ბავშვებისათვის 7 წლის ასაკიდან.

თურქეთის მატთანეს მიხედვით მე-20 საუკუნის დასაწყისში (1908) რევოლუციის შედეგად დაიმსხვრა სულთან აბდულ-ჰამიდ II-ს დესპოტური რეჟიმი და დადგინდა კონსტიტუციური მონარქიის ძალაუფლება; ხოლო I მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად დაიშალა “დიდი ოსმალთა იმპერია”.

მიუხედავად მრავალი დადებითი გარდაქმნებისა სახალხო განათლებას თურქეთის რესპუბლიკაში ფართო გავრცელება მაინც არ მიუღია. ეს იყო გამოწვეული რამდენიმე ფაქტორით: ცხოვრების დაბალი დონით, მასწავლებელთა კადრების ნაკლებობით, სკოლების და სასწავლო აღჭურვილობის არასაკმარისობით და სხვ. ამის შედეგად მოსახლეობის 60% მეტი აღმოჩნდა გაუნათლებელი. რა თქმა უნდა ასეთივე ბედი ეწია ლაზ მოსახლეობასაც, რომელიც ამ დროისათვის უკვე ითვლებოდა თურქეთის მკვიდრ მოსახლეობად.

1924 წლიდან მოყოლებული დღემდე თურქეთის სახალხო განათლების სისტემაში საგრძნობი ცვლილებები არ შესულა. სახალხო განათლების სისტემა სტრუქტურირებულია შემდეგნაირად:

1. სკოლამდელი 3-წლიანი აღზრდა. სადაც გათვალისწინებულია ბავშვთა ბაღები; ასეთი ბაღები ცოტაა სახელმწიფოში და სუსტად არის განვითარებული.

2. დაწყებითი 5-წლიანი სკოლები, განკუთვნილია 7 -11 წლამდე ბავშვებისათვის. სწავლა დაწყებით სკოლაში იყოფა ორ საფეხურად.

1-ლ საფეხურზე ბავშვები სწავლობდნენ 3 წელიწადს, მეორე საფეხურზე - 2-ს;

ქალაქის დაწყებითი სკოლის 1-ლ საფეხურზე ბავშვები სწავლობენ მშობლიურ ენას -თურქულად წერა-კითხვას, არითმეტიკას, ხატვას და ხელით გარჯას (შრომის გაკვეთილები), წეს-ჩვეულებების, ქცევის ნორმების პრაქტიკულ გამოყენებას, ტანვარჯიშსა და სხვადასხვა თამაშების ელემენტებს.

რაც შეეხება ამ ტიპების სკოლებს სოფლის ვითარებაში, უნდა ითქვას, რომ აქ დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის ელემენტარული საკითხების ათვისებას.

დაწყებითი სკოლის მე-2 საფეხურის სასწავლო გეგმას ზემოთ ჩამოთვლილი საგნების გარდა ემეტება: ბუნებისმეტყველების ელემენტები, საზოგადოებრივი ცოდნის (მოქალაქეთმცოდნეობა) და სხვ.

მიუხედავად სკოლების (შენობების) ნაკლოვანებისა, დაწყებით სკოლებს ყოველწლიურად ამთავრებს 3-4 მილიონი ბავშვი, რაც ამ ასაკის ბავშვების 62-65% შეადგენს.

3. საშუალო სკოლა. ეს სკოლა 3 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის მქონე სასწავლებელია, სადაც სწავლობენ 12-14 წლამდე ასაკის ბავშვები. ამ სასწავლებელში გადადიან ის ბავშვები, რომელნიც ამთავრებენ დაწყებითი განათლების სკოლის II საფეხურის პროგრამას.

ამ სკოლებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი საგნები: მშობლიური ენის, ისტორია, გეოგრაფიის, მოქალაქეთმცოდნეობის, მათემატიკის და ფიზიკის დიფერენცირებული კურსის, ქიმიის და ბიოლოგიის შესწავლა. ამ ტიპის სკოლების საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა პრაქტიკული ჩვევების განვითარებას. აუცილებელ სასწავლო საგნად არის მიღებული წილისა და წიგნის ყდის დაკაზმვა; ბალისა და მინდვრის სამუშაოები და სხვა მისთანანი. გათვალისწინებულია აგრეთვე ბავშვთა პროფესიონალური მომზადება, ამ მიზნით სკოლები მუშაობენ ტექნიკური სწავლების განხრით (მანქანათმშენებლობა, ქიმია, ელექტროტექნიკისა და სხვ. საგნების ჩართვით).

საშუალო სკოლას ყოველწლიურად თურქეთის ლაზისტანში ამთავრებს ათიათასამდე მოსწავლე.

საშუალო სკოლის დამთავრებულთ ეძლევათ საშუალება შევიდნენ სპეციალურ პროფილირებულ კოლეჯში.

4. სპეციალური (ან პროფილირებული) კოლეჯები. ეს სასწავლო დაწესებულება გვაგონებს ჩვენ ყოფილ პროფტექნიკურ მომზადებას. აქ მოსწავლეები სწავლობენ 4-5 წელწადს; პროფილზე (12-დან 17 წლამდე), თუ მოსწავლეს აქვს დამთავრებული საშუალო სკოლა, მაშინ ის სწავლობს პროფტექნიკუმში 2-3 წელს (14-17წ.) ამასთან პროფ.ტექნიკური კოლეჯები (საშუალო ტექნიკური სასწავლებელი) ამზადებენ საწარმოებისათვის უცროს ტექნიკურ პერსონალს (ტრანცპორტში, მედიცინაში, ვაჭრობაში და სხვ.) ე.ი. კოლეჯი იძლევა საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს. ამ დაწესებულებაში არსებობს საკმაოდ მრავალი მოსამზადებელი კურსები – სავაჭროების, სასტუმროში მომსახურების, ბარმენების და სხვ. მოსამსახურეებს' რაც შეეხება სოფლების ვითარებაში, აქ არსებობს მეტყვევების, მჭედლების, მშენებლების (ოსტატების), ხარაჩოების (სახელოსნოების) მოსამზადებელი კურსები. ასეთი მოსამზადებელი კურსები ყოველ წელიწადს ახალგაზრდობის რიცხვი 10-15 ათასამდე ითვლება.

იმ შემთხვევაში, თუ საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს უნდა მოეწყოს უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად, მაშინ ის უნდა შევიდეს ე.წ. 3 წლიან ლიცეუმში.

5. ლიცეუმი. აქ ბავშვები სწავლობენ 14-დან 17 წლამდე, ისევე როგორც პროფილირებული (სპეციალური) კოლეჯი. აქ ქარმოებს დიფერენცირებული სწავლება ცალკეულ ბუნებისმეტყველებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ამ განყოფილების გასხვავება სასწავლო გეგმების მიხედვით განსხვავდებიან საათების რაოდენობით, რომელიც ეძლევათ საგნებს, რომელიც ისწავლება დიფერენცირებულ სასწავლებელში. ასე მაგალითად, ჰუმანიტარული სწავლების განყოფილებებში ლიტერატურას, ისტორიას, ადამიანთმცოდნეობაში და ა.შ. ეძლევათ 40% მეტი დრო, ვიდრე სხვა

საგნებში (მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში და ა.შ.), რომლებზედაც განსაზღვრულია არა უმეტეს 20% და პირიქით ბუნების მეტყველების განხრით (ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში და ა.შ.) ეძლევა 40%-ზე მეტი საათი, ხოლო ჰუმანიტარულ საგნებში @20% ცოტათი მეტი. კვირაში (ორივე განყოფილებაში) უცხო ენებში დათმობილია 4-5 საათი და 2 საათი არჩევით საგნებში.

თურქეთის სახალხო განათლების სამინისტროს ბოლო წლების მონაცემებით აჭინიშნება ლიცეუმებში ტექნიკური განყოფილების განვითარებასთან დაკავშირებით. ქვეყანაში (სხვადასხვა წლებში საშუალოდ) ლიცეუმში ყოველთვის სწავლობს 100 ათასამდე მოსწავლე, რომლებიც 150 –თამდე ლიცეუმში.

დაწყებითი სწავლების (1-ლი საფეხურების) სკოლებისათვის მასწავლებლებს ამზადებენ 5 წლიანი (როგორც ლიცეუმები) სამასწავლებლო სკოლები (კოლეჯები), ხოლო მეორე საფეხურის მასწავლებლებს ამზადებენ (3 წლიანი სამასწავლებლო სკოლებისათვის) 4 წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტები (ლიცერა და უნივერსიტეტების შტაბამისი (შესატყვისი) ფაკულტეტები. (ასეთი სკოლები ყოველ წელიწადს უშვებენ საშუალოდ 40 ათას მოსწავლეს).

6. უმაღლეს სასწავლებელთა სისტემაში შედის: უნივერსიტეტები, ინსტიტუტები (პროფილირებული) და სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები. 60-იან წლებში თურქეთში არსებობდა 6 უნივერსიტეტი, სადაც სწავლობდა 50-დან 60 ათასამდე სტუდენტი; 1993წ. მარტო სტობმოლის უნივერსიტეტში (რომელიც დაარსდა 1453წ.) სტუდენტთა რიცხვი 30 ათასს სდემატებოდა (სადაც მოსახლეობა 6,6 მლნ. მცხოვრებია); უნივერსიტეტებია ქ. ანკარაში როგორც წერია უნივერსიტეტებში არსებობს ფილოლოგიური, ეკონომიკური, იურიდიული, სამედიცინო, ფიზიკო-მათემატიკური, სოფლის მეურნეობის და სხვ. ფაკულტეტები. ზოგჯერ უნივერსიტეტებთან არსებობს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ასე მაგალითად სტამბოლის უნივერსიტეტთან არსებობს ტიურფოლიგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ხოლო ანკარას უნივერსიტეტში – თურქეთის რევოლუციის კვლევითი ინსტიტუტი; (რა თქმა უნდა, კვლევით სამუშაოებს მეცნიერები აწარმოებენ თავიანთ კათედრებზე); ამის გარდა არსებობს მეცნიერული საზოგადოებები, მაგალითად, ისტორიული, გეოგრაფიული, ლინგვისტური, ეკონომიური და მრვ. სხვ.

ამრიგად თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემა არსებობს 1924 წლიდან (რამოდენიმე არც თუ ისე დიდი ცვლილებების, რომელიც იყო სხვადასხვა წლებში), დღევანდელ დღეს ის გამოიყურება სქემატურად (მიახლოებით) ასე:

1. ბავშვთა ბაღი;
2. დაწყებითი სკოლა;
3. საშუალო სკოლა;
4. ლიცეუმი;
5. პროფტექნიკორი სასწავლებელი;
6. სამასწავლებლო დაწებ. კლ.
7. სამასწ. სკ. დაწყებით. სკ. 2 საფეხ.სწავლ.
8. სამასწავლებლო ინსტიტუტები;
9. სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები;
10. უნივერსიტეტები და ინსტიტუტები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია საყოველთაო აუცილებელი განათლება დაწყებით კლასებში, პრაქტიკულად ბავშვები სწავლობენ არა უმეტეს 70 % ამ ასკის მიხედვით, რაზეც ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ 1960 წელს იუნესკოს წრმომადგენელმა, რომელთა დასკვნა იყო გამოტანილი, რომ თურქეთის რესპუბლიკაში 60% მოსახლეობიდან გაუნათლებელია.

დასკვნა

ოსმალთა იმპერიის ლაზეთში (ჭანეთში) წერა-კოთხვისა და სწავლა-განათლება (ისევე, როგორც მთელს თურქეთში) ძალზე დაბალ დონეზე იმყოფებოდა. ის იყო მხოლოდ რელიგიის ხელში და მას განახორციელებდნენ მხოლოდ ხოჯები და მოლები, რომელთაგან, სამწუხაროდ, ძალზე ბევრი თვით მოეუზადებელი იყო სკოლაში მუშაობისათვის. რელიგიური ზოგად-საგანმანათლებლო სკოლები, ე.წ. მედრესები და მექთებები მთავარ ადგილს უთმობდნენ თურქული ენის, კულტურისა და მუსულმანური რელიგიის ათვისებას, (განწესებული საღმრთო წიგნის – ყორანის ათვისება და “შაირათის” (“კანონების წიგნი”) ათვისებას არაბულ ენაზე. ყველაფერი ეს განწესებული იყო მუსულმანური იდეოლოგიის, ზნე-ჩვეულებებისა და რილიგიური რიტუალების დანერგვისათვის ადგილობრივ მოსახლეობაში.

ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ (1923) თურქეთის რესპუბლიკაში ლაზ-ძანების სწავლა-განათლება (როგორც მთელი თურქეთის მოსახლეობის) ძირ-ფესვიანად გამოიცვალა დადებითად; ეს იყო გამოწვეული ახალი კონსტიტუციის დადგენით (რომელიც მოპოვებულ იქნა თურქეთის რევოლუციით ათათურქის ხელმძღვანელობით) განათლების სისტემის ახალი კანონის თანახმად სწავლა-განათლების ყველა აფერო ჩამორთმეული იქნა რელიგიის მსახურთაგან და გადაეცა სახელმწიფოს ფუნქციებში. ამრიგად, მიუხედავად სახელმწიფოს ყველა სიმწიფისა და ხალხის სიდუხჭირისა, თურქეთის რესპუბლიკამ გადალახა შუა საუკუნეობრივი მუსულმანური პატრიარქალური ტრადიციები და შექმნა ევროპისეული სისტემის თანამედროვე სახალხო განათლება.

ლიტერატურა და წყაროები

- {1} ი. ყიფშიძე. ჭანური ტექსტები. თბ. 1939, გვ. XXXIV-XXXV
- {2} გრანჯარიო. ისტორია კოლხების ქართველთა შორის. თბ. 1942, გვ. 135
- {3} მ. ვანლიში და ა. თანდილავა. ლაზები. ბათუმი, 1964, გვ. 42; 45; 47;51
- {4} ე. იაშვილი. აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი, 1948, გვ. 105-113
- {5} პოტო. რუსეთის ბატონობის განმტკიცება კავკასიაში. პეტერბ. ტ. IV, წიგ. 11, 1916.
- {6} რუსული პედაგოგოკის ისტორიის ქრესტომატია, რუსეთის სახელმწიფო განათლების პროგრამების უგუელველმყოფელი ლ.ნ. ტოლსტოის “იასნია პალიანას” სკოლის შესახებ, გამოცემით მ.-ლ. 1928წ.

Article received: 2005-07-20